LLC Gardabani TPP
Digitally signed by LLC Gardabani TPP
Date: 2019.12.23 13:15:19 +04'00'

დამატებითი შეთანხმება N 60-7-119-5501

09.03.2015 წლის N60-7-115-198 ხელშეკრულებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი 05-12 2019 წ.

ერთის მხრივ სს **"საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"** (ს/კ 204995176, მის: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. № 2) (შემდგომში მოხსენიებული, როგორც "გამქირავებელი"), წარმოდგენილი მისი რეაბილიტაციის მმართველის / მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის **უჩა უჩანეიშვილის** მიერ,

მეორეს მხრივ **შპს „გარდაბნის თბოსადგური"** (ს/კ 404428071, მის: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, დ.აღმაშენებლის ქ.2ბ), (შემდგომში მოხსენიებული, როგორც "დამქირავებელი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ჯაბა ხმალაძის მიერ.
(შემდგომში ორივე მხარე ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „მხარეები")

ვთანხმდებით და ვდებთ წინამდებარე დამატებით შეთანხმებას 09.03.2015 წლის N60-7-115-198 ხელშეკრულებაზე სიმ ბარათების გაქირავების შესახებ (შემდგომში "ხელშეკრულება") შემდეგი პირობებით:

1. ხელშეკრულების მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. გადახდების კუთხით ხელშეკრულება მოქმედებს მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილად შესრულებამდე."
2. ხელშეკრულების ყველა სხვა დანარჩენი პირობა, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დამატებითი შეთანხმებით დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის დადებული 09.03.2015 წლის N60-7-115-198 ხელშეკრულების უშუალო და განუყოფელ ნაწილს და არ შეიძლება გამოყენებულ ან/და განმარტებულ იქნეს მითითებული ხელშეკრულების გარეშე.
4. დამქირავებელს არ გააჩნია არავითარი პრეტენზია ან მოთხოვნა გამქირავებლის მიმართ ხელშეკრულებაში მითითებული ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით.
5. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანასწორუფლებიან ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.
6. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

7. **მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:**

„გამქირავებელი"
სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"
საიდ. კოდი: 204995176
სს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ნ GE02TB0600000102467636
უჩა უჩანეიშვილი
მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე/
რეაბილიტაციის მმართველი

„დამქირავებელი"
შპს „გარდაბნის თბოსადგური"

საიდ. კოდი: 404428071

ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ნ GE085TB 0000000085059700
ჯაბა ხმალაძე
გენერალური დირექტორი

27.11.2019 27.11.2019

დამატებითი შეთანხმება # 60-7-118-2818

09.03.2015 წლის № 60-7-115-198 ხელშეკრულებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი 21 / 12 2018 წ.

ერთის მხრივ **სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"** (ს/კ 204995176, მის: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. № 2) (შემდგომში მოხსენიებული, როგორც "გამქირავებელი"), წარმოდგენილი მისი რეაბილიტაციის მმართველის / მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის **დავით თვალაბეიშვილის მიერ,**

მეორეს მხრივ შპს **„გარდაბნის თბოსადგური"** (ს/კ 404428071, მის: ქ. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქ. #2ბ), (შემდგომში მოხსენიებული, როგორც "დამქირავებელი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის **ლაშა მგელაძეს** მიერ,

(შემდგომში ორივე მხარე ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „მხარეები"),

ვთანხმდებით და ვდებთ წინამდებარე დამატებით შეთანხმებას **09.03.2015 წლის № 60-7-115-198** ხელშეკრულებაზე სიმ ბარათების გაქირავების შესახებ (შემდგომში "ხელშეკრულება") შემდეგი პირობებით:

1. ხელშეკრულების 12-ე მუხლის 1-ლი პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   "12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. გადახდების კუთხით ხელშეკრულება მოქმედებს მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილად შესრულებამდე."
2. ხელშეკრულების ყველა სხვა დანარჩენი პირობა, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დამატებითი შეთანხმებით დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის დადებული **09.03.2015 წლის № 60-7-115-198** ხელშეკრულების უშუალო და განუყოფელ ნაწილს და არ შეიძლება გამოყენებულ ან/და განმარტებულ იქნეს მითითებული ხელშეკრულების გარეშე.
4. დამქირავებელს არ გააჩნია არავითარი პრეტენზია ან მოთხოვნა გამქირავებლის მიმართ ხელშეკრულებაში მითითებული ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით.
5. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანასწორუფლებიან ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.
6. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

7. **მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:**

„გამქირავებელი"	**„დამქირავებელი"**
სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"	შპს „გარდაბნის თბოსადგური"
საიდ. კოდი: 204995176	საიდ. კოდი: 404428071
სს „თიბისი ბანკი"	სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ნ GE02TB0600000102467636	ა/ნ GE05BG0000000850529700
დავით თვალაბეიშვილი _____	**ლაშა მგელაძე** _____
მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე/	გენერალური დირექტორი
რეაბილიტაციის მმართველი	

დამატებითი შეთანხმება N 60-7-117-3018

09.03.2015 წლის N60-7-115-198 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი 26.12 2017 წ.

ერთის მხრივ სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" (ს/კ 204995176, მის: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. № 2) (შემდგომში მოხსენიებული, როგორც "გამქირავებელი"), წარმოდგენილი მისი რეაბილიტაციის მმართველის / მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის **სულხან ზუმბურიძის** მიერ,

მეორეს მხრივ **შპს „გარდაბნის თბოსადგური"** (ს/კ 404428071, მის: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, დ.აღმაშენებლის ქ.2ბ), (შემდგომში მოხსენიებული, როგორც "დამქირავებელი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილეს **ზურაბ სამსონიძის** მიერ.
(შემდგომში ორივე მხარე ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „მხარეები")
ვთანხმდებით და ვდებთ წინამდებარე დამატებით შეთანხმებას 09.03.2015 წლის N60-7-115-198 ხელშეკრულებაზე სიმ ბარათების გაქირავების შესახებ (შემდგომში "ხელშეკრულება") შემდეგი პირობებით::

1. ხელშეკრულების მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   "12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. გადახდების კუთხით ხელშეკრულება მოქმედებს მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილად შესრულებამდე."
2. ხელშეკრულების ყველა სხვა დანარჩენი პირობა, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დამატებითი შეთანხმებით დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის დადებული 09.03.2015 წლის N60-7-115-198 ხელშეკრულების უშუალო და განუყოფელ ნაწილს და არ შეიძლება გამოყენებულ ან/და განმარტებულ იქნეს მითითებული ხელშეკრულების გარეშე.
4. დამქირავებელს არ გააჩნია არავითარი პრეტენზია ან მოთხოვნა გამქირავებლის მიმართ ხელშეკრულებაში მითითებული ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით.
5. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანასწორუფლებიან ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.
6. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.
7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„გამქირავებელი"	„დამქირავებელი"
სს „საქართველოს სახელმწიფო	შპს „გარდაბნის თბოსადგური
საიდ. კოდი: 204995176	საიდ. კოდი: 404428071
სს „თიბისი ბანკი"	
ბანკის კოდი: TBCBGE22	ბანკის კოდი:BAGAGE22
ა/ნ GE02TB0600000102467636	ა/ნ GE85TB 0000000085059700
სულხან ზუმბურიძე _____	ზურაბ სამსონიძე _____
მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე/ რეაბილიტაციის მმართველი	გენერალური დირექტორის მოადგილე

დამატებითი შეთანხმება # 60-7-116-1229 16.12.16 წ.

09.03.2015 წლის № 60-7-115-198 ხელშეკრულებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი ____/_____2016წ.

ერთის მხრივ სს **"საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"** (ს/კ 204995176, მის: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. № 2) (შემდგომში მოხსენიებული, როგორც "გამქირავებელი"), წარმოდგენილი მისი რეაბილიტაციის მმართველის / მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის **სულხან ზუმბურიძის** მიერ,

მეორეს მხრივ შპს **„გარდაბნის თბოსადგური"** (ს/კ 404428071, მის: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, დ. აღმაშენებლის ქ. 2ბ.), (შემდგომში მოხსენიებული, როგორც "დამქირავებელი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის **ლაშა მგელაძის** მიერ.
(შემდგომში ორივე მხარე ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „მხარეები")
ვთანხმდებით და ვდებთ წინამდებარე დამატებით შეთანხმებას **09.03.2015 წლის № 60-7-115-198** ხელშეკრულებაზე სიმ ბარათების გაქირავების შესახებ (შემდგომში "ხელშეკრულება") შემდეგი პირობებით:

1. ხელშეკრულების 11-ე მუხლის 1-ლი პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. გადახდების კუთხით ხელშეკრულება მოქმედებს მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილად შესრულებამდე."
2. ხელშეკრულების ყველა სხვა დანარჩენი პირობა, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დამატებითი შეთანხმებით დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის დადებული **09.03.2015 წლის № 60-7-115-198** ხელშეკრულების უშუალო და განუყოფელ ნაწილს და არ შეიძლება გამოყენებულ ან/და განმარტებულ იქნეს მითითებული ხელშეკრულების გარეშე.
4. დამქირავებელს არ გააჩნია არავითარი პრეტენზია ან მოთხოვნა გამქირავებლის მიმართ ხელშეკრულებაში მითითებული ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით.

5. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანასწორუფლებიან ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.
6. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

7. **მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:**

„გამქირავებელი"	**„დამქირავებელი"**
სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"	შპს „გარდაბნის თბოსადგური"
საიდ. კოდი: 204995176	საიდ. კოდი: 404428071
სს „ლიბერთი ბანკი"	
ბანკის კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ნ GE86LB0114144485353000	ა/ნ GE05BG0000000850529700
სულხან ზუმბურიძე _____	ლაშა მგელაძე _____
მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე/ რეაბილიტაციის მმართველი	გენერალური დირექტორი

დამატებითი შეთანხმება # 60-7-115-1766

09.03.2015 წლის № 60-7-115-198 ხელშეკრულებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე

28.12.15.

ქ. თბილისი 14.12 2015წ.

ერთის მხრივ **სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"** (ს/კ 204995176, მის: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. № 2) (შემდგომში მოხსენიებული, როგორც "გამქირავებელი"), წარმოდგენილი მისი რეაბილიტაციის მმართველის / მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის **სულხან ზუმბურიძის** მიერ,

მეორეს მხრივ **შპს „გარდაბნის თბოსადგური"** (ს/კ 404428071, მის:ქ. გარდაბანი,დ.აღმაშენებლის #2ბ), (შემდგომში მოხსენიებული, როგორც "დამქირავებელი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის **ლაშა მგელაძეს** მიერ.
(შემდგომში ორივე მხარე ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „მხარეები")
ვთანხმდებით და ვდებთ წინამდებარე დამატებით შეთანხმებას **09.03.2015 წლის № 60-7-115-198** ხელშეკრულებაზე სიმ ბარათების გაქირავების შესახებ (შემდგომში "ხელშეკრულება") შემდეგი პირობებით::

1. ხელშეკრულების 11-ე მუხლის 1-ლი პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   "11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. გადახდების კუთხით ხელშეკრულება მოქმედებს მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილად შესრულებამდე."
2. ხელშეკრულების ყველა სხვა დანარჩენი პირობა, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დამატებითი შეთანხმებით დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის დადებული **09.03.2015 წლის № 60-7-115-198** ხელშეკრულების უშუალო და განუყოფელ ნაწილს და არ შეიძლება გამოყენებულ ან/და განმარტებულ იქნეს მითითებული ხელშეკრულების გარეშე.
4. დამქირავებელს არ გააჩნია არავითარი პრეტენზია ან მოთხოვნა გამქირავებლის მიმართ ხელშეკრულებაში მითითებული ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით.
5. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანასწორუფლებიან ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.
6. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

7. **მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:**

„გამქირავებელი"
სს „საქართველოს სახელმწიფო
საიდ. კოდი: 204995176
სს „ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22

ა/ნ GE86LB0114144485353000

სულხან ზუმბურიძე _____

მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე
რეაბილიტაციის მმართველი

„დამქირავებელი"
შპს „გარდაბნის თბოსადგური"
საიდ. კოდი: 404428071

ბანკის კოდი: BAGAGE22

ა/ნ GE05BG0000000850529700

ლაშა მგელაძე _____

გენერალური დირექტორი

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 60-7-115-198

ქ. თბილისი

2015 წ. 09.03

I. მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2015 წლის 09.03

ერთის მხრივ **სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“** წარმოდგენილი მისი რეაბილიტაციის მმართველის/მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის სულხან ზუმბურიძის სახით (შემდგომში „გამქირავებელი“) და მეორეს მხრივ **შპს „გარდაბნის თბოსადგური“** წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ლაშა მგელაძის სახით (შემდგომში „დამქირავებელი“),„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ი პუნქტის "ს¹" ქვეპუნქტის საფუძველზე შეთანხმდნენ ურთიერთშორის და გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

II. ხელშეკრულების საგანი

2.1. **დამქირავებელის** კუთვნილ ენერგოობიექტზე (და არა მხოლოდ) არსებული ელ.ენერგიის აღრიცხვის **კვანძებიდან,** აღრიცხვის მონაცემების **გამქირავებლის** „ალფა-ცენტრის“ მონაცემთა ბაზაში ავტომატურ რეჟიმში გადაცემის უზრუნველყოფის მიზნით (CPV72310000), **გამქირავებელი** გადასცემს **დამქირავებელს** შპს „მაგთიკომის“ **1 (ერთ) ცალ** სიმბარათს (შემდეგში „ქირავნობის ობიექტი“) დროებით სასყიდლიან სარგებლობაში, ხოლო **დამქირავებელი** იღებს ვალდებულებას გადაუხადოს **გამქირავებელს** ქირა ამ ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობით, წესითა და პირობებით;

2.2. აღრიცხვის მონაცემების გადაცემის ტექნიკური პირობები, წესი, მოცულობა განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი N1-ის შესაბამისად. დანართი N1 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიმარტება მასთან ერთად.

III. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ქირავნობის ობიექტის ქირა შეადგენს თვეში ერთ ბარათზე 6,5 (ექვსი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარს, სულ 11 თვეში 71,5 (სამოცდათერთმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით;

3.2. საანგარიშო თვის დამთავრებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში **გამქირავებელი** წარუდგენს **დამქირავებელს** საანგარიშსწორებო ანგარიშ–ფაქტურას;

3.3. ქირა **დამქირავებლის** მიერ გადაიხდება ყოველთვიურად, **გამქირავებლის** მიერ ანგარიშ–ფაქტურის წარდგენიდან 10 კალენდარული დღის ვადაში;

3.4. ქირის ღირებულების ანაზღაურება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარებში;

3.5. გადახდის დღედ ითვლება **გამქირავებლის** ანგარიშზე თანხის მოხვედრის დღე.

IV. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

4.1. **დამქირავებელი ვალდებულია:**

4.1.1. გადაუხადოს „გამქირავებელს“ ქირა, ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობით წესითა და პირობებით;

4.1.2. უზრუნველყოს ქირავნობის ობიექტის ნორმალური ექსპლუატაციისთვის საჭირო პირობები და მისი მუშა მდგომარეობის შენარჩუნება. „დამქირავებელს“ უფლება არ აქვს გადასცეს დაქირავებული ქონება ქვექირავნობით.

4.1.3. ქირავნობის ობიექტი გამოიყენოს მის კუთვნილ ენერგოობიექტზე (და არა მხოლოდ) არსებული ელ.ენერგიის აღრიცხვის **კვანძიდან/კვანძებიდან** (აღრიცხვის **კვანძის/კვანძების** შესახებ ინფორმაცია მოყვანილია N2 დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიმარტება მასთან ერთად.), აღრიცხვის მონაცემების **გამქირავებლის** „ალფაცენტრის“ მონაცემთა ბაზაში ავტომატურ რეჟიმში გადაცემის მიზნით, რათა **გამქირავებლის** „ალფა-ცენტრის“ სერვერისათვის უზრუნველყოფილი იქნეს **დამქირავებლის** ენერგოობიექტის (და არა მხოლოდ) აღრიცხვის მონაცემების ავტომატურ რეჟიმში, “დათა ქოლის“ (DATA CALL) გამოყენებით რეჟიმში, დანართი N1-ით დადგენილი წესით, მოცულობითა და ინტერვალით ხელმისაწვდომობა. „დამქირავებელს“ უფლება არ აქვს გამოიყენოს ან/და ისარგებლოს დაქირავებული ქონებით ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული მიზნებისათვის ან/და განსხვავებული ფორმით;

4.1.4. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტისას, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, მიღება-ჩაბარების აქტით, დაუბრუნოს „გამქირავებელს“ ქირავნობის ობიექტი ნორმალურ, მუშა მდგომარეობაში.

4.1.5. გამქირავებელს სრულად აუნაზღაუროს ზიანი, რომელიც მას მიადგა ქირავნობის საგნის დაზიანების, ქურდობის, ძარცვის, ან სხვაგვარი განადგურების (დაზიანების) შემთხვევაში.

4.2. **დამქირავებელი უფლებამოსილია:**

4.2.1. მოითხოვოს ქირავნობის ობიექტის გადაცემა დადგენილ ვადებში და ოდენობით;

4.2.2. არ მიიღოს და მოითხოვოს იმ სიმ-ბარათის გამოცვლა, რომელსაც გადაცემის მომენტში აღმოაჩნდება რაიმე ნაკლი;

4.2.3. მოითხოვოს გამქირავებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება.

4.3. **გამქირავებელი ვალდებულია:**

4.3.1. ქირავნობის ობიექტი გადასცეს „დამქირავებელს“ ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან (მხარეთა მიერ ხელმოწერიდან) 10 დღეში;

4.3.2. გადასცეს დამქირავებელს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ქირავნობის ობიექტი;

4.3.3. ქირავნობის ობიექტის გადაცემისას მასზე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება 10 სამუშაო დღის ვადაში. დაზიანებული სიმ–ბარათის ქირა დაზიანების პერიოდში არ ანაზღაურდება;

4.3.4. ხელშეკრულების შეწყვეტისას მიიღოს ქირავნობის ობიექტი მიღება-ჩაბარების აქტით, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში;

4.3.5. ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

4.4. **გამქირავებელს უფლება აქვს:**

4.4.1. მოითხოვოს ქირის ანაზღაურება დადგენილი ოდენობით, წესითა და პირობებით;

4.4.2. მოსთხოვოს **დამქირავებელს** ქირავნობის ობიექტის მხოლოდ ამ ხელშეკრულებით დადგენილი მიზნისთვის გამოყენება;

4.4.3. მოითხოვოს **დამქირავებლის** მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება.

V. პასუხისმგებლობა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ანგარიშსწორების ვადის დარღვევისას **დამქირავებელი** ვალდებულია გამქირავებელს, პირგასამტეხლოს სახით, გადაუხადოს ქირის 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, თანხის სრულად

ანაზღაურებამდე. ამ პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო **დამქირავებელს** ეკისრება გადასახდელი თანხის სრულად ანაზღაურებამდე, მიუხედავად ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვისა;

5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ცალმხრივად შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება, აანაზღაურონ მიყენებული ზარალი სრული მოცულობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ზარალის ანაზღაურება, ან მისი მოთხოვნა არ აჩერებს ამ მუხლით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს დარიცხვას და ასევე მისი გადახდის ვალდებულებას;

5.3. **დამქირავებელს** არ აქვს უფლება **გამქირავებლის** წერილობითი თანხმობის გარეშე საიჯარო ქირის ანაზღაურებისას გამოქვითოს (შეამციროს ანაზღაურება) გამქირავებლის მიმართ არსებული სხვა რომელიმე მოთხოვნის უფლებით (მათ შორის წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში). **გამქირავებლის** თანხმობის გარეშე, მომსახურების (ქირის) ღირებულების არასრულად გადახდის შემთხვევაში (**გამქირავებლის** თანხმობის გარეშე **გამქირავებელზე** დარიცხული პირგასამტეხლოს ან/და მიყენებული ზიანის ოდენობით **დამქირავებლისთვის** გადასახდელი თანხის გამოქვითვისას), **დამქირავებელზე** ვრცელდება ამ ხელშეკრულების 5.1. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო და ამავე ხელშეკრულების 5.2. პუნქტით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

VI. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

6.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მათ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით და სხვა. ფორს–მაჟორის არსებობის საკმარის დამადასტურებელ ცნობად მხარეები განიხილავენ საქართველოს სავაჭრო–სამრეწველო პალატის მიერ გაცემულ სათანადო ცნობას;

6.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს
გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

VII. ურთიერთობა მხარეებს შორის

7.1. ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს ხელმძღვანელობაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია

შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ელ. ფოსტის (წერილის სკანირებული ვარიანტი) ან ფაქსის გაგზავნის გზით, შემდგომში ორიგინალის მიწოდების პირობით.

7.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

VIII. ხელშეკრულების პირობების შეცვლა და/ან ვადამდე მოშლა

8.1. ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება შეიძლება შეტანილი იქნეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს:

8.2.1. მხარეთა შეთანხმებით;

8.2.2. ერთ-ერთი მხარის განცხადებით მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ისეთი დარღვევის შემთხვევაში, რომელიც ქმნის **დამქირავებლის** მიმართ ნდობის დაკარგვის საფუძველს;

8.3. **გამქირავებელს** შეუძლია ხელშეკრულება ვადამდე შეწყვიტოს:

8.3.1. თუ **გამქირავებლისთვის** ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

8.3.2. **დამქირავებლის** გაკოტრების შემთხვევაში;

8.3.3. თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ **დამქირავებლის** მიერ მოწოდებული ინფორმაცია ყალბი აღმოჩნდება, რაც წარმოადგენს **დამქირავებლის** მხრიდან **გამქირავებლის** მიმართ ნდობის დაკარგვის საფუძველს;

8.3.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

IX. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

X. დავათა განხილვა

10.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ;

10.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

XI. ქირავნობის ობიექტის მიღება - ჩაბარების წესი

11.1. ქირავნობის ობიექტის სარგებლობის უფლებით გადაცემა, ისევე როგორც უკან დაბრუნება ხორციელდება მხარეთა უფლებამოსილ წარმომადგენლებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით;

11.2. მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი ადასტურებს ერთი მხარიდან მეორესთვის ქირავნობის ობიექტის გადაცემის, ხოლო მეორე მხარის მიერ ქირავნობის ობიექტის მიღების ფაქტს;

11.3. ქონების მიღება–ჩაბარების (ქირავნობით გადაცემის) აქტი დგება 2 დედნად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემა ორივე მხარეს.

XII. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 იანვრის ჩათვლით. გადახდების კუთხით ხელშეკრულება მოქმედებს მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილად შესრულებამდე.

XIII. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1. **გამქირავებელს** ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი **დამქირავებლის** მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

13.2. **გამქირავებლის** მხრიდან ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ „ალფა ცენტრის“ სამსახურის უფროსი დავით დვალი.

XIV. ხელშეკრულების სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ყოველ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

14.2. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, მხარეები მოქმედებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

14.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შესასრულებლად სავალდებულოა მხარეთათვის და მათი შესაბამისი სამართალმემკვიდრეებისა და უფლებამონაცვლეთათვის. დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადაცემა სხვა მხარისათვის მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.4. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და მათი გამჟღავნება სხვა მხარისათვის არ უნდა მოხდეს, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

XV. მხარეთა რეკვიზიტები

„გამქირავებელი“	„დამქირავებელი“
სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“	შპს „გარდაბნის თბოსადგური“
საიდ. კოდი: 204995176	საიდ. კოდი 404428071
მის: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2	ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი # 21
სს „ლიბერთი ბანკი“	სს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ნ GE86LB0114144485353000	ა/ნ GE05BG0000000850529700
სულხან ზუმბურიძე _____	**ლაშა მგელაძე** _____
რეაბილიტაციის მმართველი/	
მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე	გენერალური დირექტორი

დანართი N1

აღრიცხვის მონაცემების გადაცემის ტექნიკური პირობები, წესი, მოცულობა

დამქირავებლის კუთვნილ ენერგოობიექტზე (და არა მხოლოდ) არსებული ელ.ენერგიის აღრიცხვის ***კვანძებიდან***, აღრიცხვის მონაცემების **გამქირავებლის** „ალფა-ცენტრის“ მონაცემთა ბაზაში ავტომატურ რეჟიმში გადაცემა ხორციელდება „დათა ქოლის“ (DATA CALL) გამოყენებით, შემდეგი ტექნიკური პირობით, წესით და მოცულობით:

1. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში **დამქირავებელი** მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კუთვნილი ენერგოობიექტიდან (და არა მხოლოდ) **გამქირავებლის** "ალფა-ცენტრის" სერვერისთვის ავტომატურ რეჟიმში ხელმისაწვდომს ხდის აღრიცხვის შემდეგ მონაცემებს, დროის ქვემოთ განსაზღვრული ინტერვალებით:

1.1. **დამქირავებლის** კუთვნილ ენერგოობიექტზე (და არა მხოლოდ) მდებარე სათანადო ელ.**მრიცხველის/მრიცხველების** მიერ მაქსიმუმ 30 წთ-იანი დროის ინტერვალით უწყვეტად აღრიცხულ კომერციულ მონაცემებს;

1.2. **გამქირავებლის** სერვერის მიერ **დამქირავებლის** კუთვნილ ენერგოობიექტზე (და არა მხოლოდ) მდებარე სათანადო **მრიცხველისთვის/მრიცხველებისთვის** მაქსიმუმ 30 წთ-იანი ინტერვალით უწყვეტად აღრიცხულ ტექნიკურ მონაცემებს;

1.3. **დამქირავებლის** მიერ კუთვნილი აღრიცხვის **კვანძიდან/კვანძებიდან** აღრიცხვის კომერციული ან/და ტექნიკური მონაცემების აღების პროცესის თვალსაჩინო წყვეტის შემთხვევაში **დამქირავებელი** დაუყონებლივ აცნობებს **გამქირავებელს** ასეთი წყვეტის გამომწვევ მიზეზს და ხარვეზის აღმოფხვრის ვადებს, აღრიცხვის შესაბამისი **კვანძის/კვანძების** მითითებით.

2. **დამქირავებლის** მიერ **გამქირავებლის** სერვერისთვის კუთვნილი ენერგოობიექტის (და არა მხოლოდ) აღრიცხვის მონაცემების ხელმისაწვდომობა და **გამქირავებლის** მიერ ამ მონაცემების გამოკითხვა ხორციელდება კავშირის შემდეგი არხებით:

2.1. **კავშირის არხი - დამქირავებლის** აღრიცხვის მონაცემები დროის დადგენილი ინტერვალით ინახება **დამქირავებლის** ელექტროენერგიის **მრიცხველის/მრიცხველების** მეხსიერებაში, რომელსაც GSM (ჯი-ეს-ემ) კავშირის საშუალებით გამოკითხავს **გამქირავებლის** "ალფა ცენტრის" სერვერი - ავტომატურ რეჟიმში.

იმ შემთხვევაში თუ, რაიმე თვალსაჩინო მიზეზით, შეუძლებელია ხსენებული **კავშირის არხის** გამოყენება, ასეთ შემთხვევაში, **დამქირავებელი** დაუყონებლივ აწვდის ინფორმაციას **გამქირავებელს** ასეთი მიზეზის შესახებ, მისი დაფიქსირების დროს და ხარვეზის აღმოფხვრის ვადებს, აღრიცხვის შესაბამისი **კვანძის/კვანძების** მითითებით:

2.2. **დამქირავებლის** აღრიცხვის მონაცემთა გადაცემაზე **პასუხისმგებელი პირი** ყოველდღიურად უგზავნის **გამქირავებლის** სათანადო **პასუხისმგებელ პირს/პირებს** აღრიცხვის მონაცემებს სათანადო კავშირდაუმყარებელი ელ.ენერგიის **მრიცხველის/მრიცხველებისათვის**, ელექტრონული ფოსტის საშულებით, არაუგვიანეს დილის 10:00 სთ-ისა. ამასთან, ელექტრონული ფოსტის საშუალებით გადმოცემული ფაილის ფორმატი არის "Microsoft Excel 2003-2007"-ი, რომელიც მოიცავს აღრიცხვის 24 სთ-იან კომერციულ მონაცემებს (აქტიური და რეაქტიული ელ.ენერგიების მიღება და გაცემა). შესავსები "Microsoft Excel"-ის ფორმას ადგენს **გამქირავებელი, დამქირავებელთან** კონსულტაციის საფუძველზე. შესავსები ფორმა ეყრდნობა შესაბამისი ენერგოობიექტის ხელმისაწვდომ ოპერატიულ ჟურნალებს.

3. **გამქირავებლის** სერვერის მიერ **დამქირავებლის** ელ.ენერგიის **მრიცხველის/მრიცხველების** კავშირის ზემოთ აღწერილი არხით გამოკითხვის სიხშირეს და დროის ინტერვალს განსაზღვრავს უშუალოდ **გამქირავებელი** საკუთარი შეხედულებისამებრ, **დამქირავებლის** შესაბამის **პასუხისმგებელ პირთან/პირებთან** ზეპირი კონსულტაციის საფუძველზე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

4. ელექტროენერგიის აღრიცხვის მონაცემების ნაკადგანაწილების პროცესის შესრულების კონტროლს 1, 2. და 3. პუნქტებში გაწერილი ტექნიკური პირობით, წესით და მოცულობით სისტემატურად ახორციელებენ:

გამქირავებლის პასუხისმგებელი პირები:

1. ნუგზარ მანჯავიძე - უფროსი ინჟინერი
საკონტაქტო ინფორმაცია: 5 77 23 29 83. E-mail: nugzar.manjavidze@gse.com.ge

2. გიორგი გონგაძე - უფროსი ინჟინერი
საკონტაქტო ინფორმაცია: 5 77 23 23 76. E-mail: giorgi.gongadze@gse.com.ge

გამქირავებლის მხრიდან N2.2. პუნქტით გათვალისწინებული Microsoft Excel-ის ფორმის ადრესატები:

მადონა ოჩიგავა - განყოფილების უფროსი
საკოტნაქტო ინფორმაცია: 5 77 240 321. E-mail: madona.ochigava@gse.com.ge

ნანა ბოტკოველი - განყოფილების გამომუშავებული ელ.ენერგიის აღრიცხვის სპეციალისტი
საკოტნაქტო ინფორმაცია: 5 77 232 396. E-mail: nana.botkoveli@gse.com.ge

დამქირავებლის პასუხისმგებელი პირები:

1. ვაჟა ფათრიკაშვილი - ელექტროინჟინერი
   საკონტაქტო ინფორმაცია: 591 10 84 12; E-mail: v.patrekashvili@gardabanitpp.ge
2. გიორგი მუზაშვილი - მთავარი ინჟინერი
   საკონტაქტო ინფორმაცია: 595 99 24 16; E-mail: g.muzashvili@gardabanitpp.ge

დანართი N1

5. **დამქირავებელს, გამქირავებელთან** შეთანხმებით, უფლება აქვს შეცვალოს კავშირის დადგენილი არხის კონფიგურაცია, მათ შორის, დამატებითი შუალედური ადგილობრივი დადგმის სერვერების ან/და მონაცემთა შეკრებისა და გადაცემის სპეციალური მოყობილობების

გამოყენებით. ასეთ შემთხვევაში აუცილებლად შეიცვლება **დამქირავებლის** მიერ **გამქირავებლისთვის** აღრიცხვის მონაცემების გადაცემის ზემოთ აღნიშნული ტექნიკური პირობები, წესი და მოცულობა, **გარდა იმ შემთხვევისა,** როცა ასეთი დამატებითი შუალედური მოწყობილობების გამოყენება ცვლილებას არ იწვევს არსებული კავშირის არხში, მიუხედავად ამისა, ასეთ შეთხვევაში **დამქირავებელი გამქირავებელს** ასეთი ცვლილებას წინასწარ უთანხმებს.

„გამქირავებელი“

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა”

სულხან ზუმბურიძე

რეაბილიტაციის მმართველი/ მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე

„დამქირავებელი“

შპს „გარდაბნის თბოსადგური“

ლაშა მგელაძე

გენერალური დირექტორი

დანართი N2

მონაცემები ელექტროენერგიის აღრიცხვის კვანძების შესახებ

ცხრილი N2

N	ენერგოობიექტის დასახელება	მინაერთის დასახელება	მინაერთის ძაბვა (კვ)	ელ.ენერგიის მრიცხველის ტიპი/ მოდიფიკაცია	მრიცხველის საქარხნო N	შენიშვნა
1	გარდაბნის ახალი აირტურბინული თბოელექტროსადგური	გენერატორი N1	11	A1802RALX-P4GB-DW-4	01276607	
2		გენერატორი N2	11	A1802RALX-P4GB-DW-4	01276608	
3		გენერატორი N3	11	A1802RALX-P4GB-DW-4	01276602	
4		საკუთარი მოხმარება N1	11	A1802RALX-P4GB-DW-4	01276605	
5		საკუთარი მოხმარება N2	11	A1802RALX-P4GB-DW-4	01276606	
6		ეგხ ნავთლუღი-1	220	A1802RALX-P4GB-DW-4	01276603	
7		ეგხ ნავთლუღი-2	220	A1802RALX-P4GB-DW-4	01276604	

„გამქირავებელი“

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

სულხან ზუმბურიძე

რეაბილიტაციის მმართველი/
მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე

„დამქირავებელი“

შპს „გარდაბნის თბოსადგური“

ლაშა მგელაძე

გენერალური დირექტორი